



სააბონენტო ხელშეკრულება N.....
მრავალარხიანი სატელევიზიო მომსახურების შესახებ

ქალაქი / დაბა / სოფელი 2017 წ.
 ერთის მხრივ მას „სუპერ ტვ“, შემდგომში მოხსენიებული როგორც „კომპანია“ და მეორეს მხრივ

ფიზიკური პირი – სახელი, გვარი ტელეფონი ელ. ფოსტა

პირადი N რეგისტრაციის ადგილი

იურიდიული პირი – დასახელება ს/კ

დირექტორი/წარმომადგენელი ტელეფონი ელ. ფოსტა

იურიდიული მისამართი

შემდგომში „აბონენტი“, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „კომპანია“ ახორციელებს „აბონენტისათვის“ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდებას, რაც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან/და მისი დანართებით.
- 1.2 მომსახურების მიწოდების ადგილია:

აბონენტის მიერ მომსახურების მიწოდების ადგილის, მისამართის თვითნებურად შეცვლა დაუშვებელია.

- 1.3 მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან/და მისი შემადგენლობა, რის შესახებ ვალდებულია შეატყობინოს „აბონენტს“ ცვლილებამდე 10 (ათი) დღით ადრე.

2. მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოწყობილობანი

- 2.1 ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით „აბონენტი“ იმავდროულად გამოთვამს თანხმობას მასზე, რომ „კომპანიამ“ მომსახურების მიწოდების მიზნით ყველა აუცილებელი და საჭირო მოწყობილობა 10 (ათი) დღის განმავლობაში დაამონტაჟოს (განათავსოს) „აბონენტის“ მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უმრავლეს ქონებაზე ან/და შენობის ყველა იმ ნაწილზე (შენობის კედელი, სადარბაზო, სხვენი და სხვა), რომელიც აუცილებელია „აბონენტისათვის“ მომსახურების მისაწოდებლად. იმ შემთხვევაში თუ „აბონენტის“ უფლება სრულად არ გრცელდება უმრავლეს ქონებაზე, მაშინ „აბონენტის“ მიერ გამოთვებული თანხმობა ვრცელდება უმრავლეს ქონებაში არსებულ მის წილზე.
- 2.2 „აბონენტი“, მომსახურების მიღების მიზნით, მის მიერ მოთხოვნილი სატელევიზიო წერტილის სრული გამართულობისთვის, „კომპანიასთან“ ახორციელებს ამავე ხელშეკრულების დანართი №1-ში გაწერილ შესაბამის ანგარიშსწორებას, რაც გულისხმობს მომსახურებისთვის საჭიროდ აუცილებელი აპარატურის (შემდგომში „მოწყობილობები“) ღირებულების, ქსელში ჩართვის ერთჯერადი და საავანსო/სააბონენტო გადასახადის გადახდას. „კომპანია“ „აბონენტს“, „მოწყობილობები“ შესაძენად ან დასაქირავებლად აბონენტის მიერ არჩეული, შესაძენი ან ქირით აღებული პერიოდის მანძილზე **დროებით სარგებლობაში**, ხოლო „მოწყობილობები“ სრულად შეძენის შემთხვევაში - **პირად საკუთრებაში** გადასცემს შემდეგ ტექნიკურ მოწყობილობებს: 1 (ერთი) ერთეული რესივერის კომპლექტი (რესივერს აქვს დამატებითი შესაძლებლობა, მიიღოს და გაატაროს ქართული საეთერო ციფრული არხები), 1 (ერთი) ერთეული დამუშავის ბარათი და საჭიროების შემთხვევაში - მიმღები ანტენის კომპლექტი (შემდგომში „მოწყობილობები“).
- 2.3 მხარეები თანხმდებიან, რომ „მოწყობილობები“ წარმოადგენს „კომპანიის“ საკუთრებას და სრულად შესყიდვამდე „აბონენტს“ გადაეცემა დროებით სარგებლობაში, ხოლო სრულად შესყიდვის შემდეგ - საკუთრებაში.
- 2.4 მოწყობილობის შეფუთვა, კომპლექტაციის დაცულობა და მისი გამართულება მუშაობის შემოწმება ხორციელდება ადგილზე, გადაცემის მომენტში, უშუალოდ აბონენტთან. მოწყობილობების ექსპლუატაციის წესების დარღვევისას დამდგარ შედეგებზე, მექანიკური დაზიანების დროს დამდგარ გარე ან შიდა დაზიანებებზე, იმ შემადგენელ ნაწილებზე, რომლებზეც აღინიშნება მექანიკური ზემოქმედების ნიშნები და მოწყობილობის კომპლექტაციის დარღვევის ყველა შემთხვევაზე (პროგრამული უზრუნველყოფა, შემაერთებელი კაბელი, სამაგრები და ქარხნული იერსახისთვის დამახასიათებელ ნიშნებზე ზემოქმედება და სხვა), ასევე არასტაბილური ელექტრო ძაბვით გამოწვეულ დაზიანებაზე „კომპანია“ არ აგებს პასუხს. მოწყობილობების სრული ან ნაწილობრივ დაზიანების, განადგურების, დაკარგვის შემთხვევაში მათი ჩანაცვლება მოხდება „კომპანიის“ მიერ დადგენილი, **ძირითადი ტარიფების (დანართი № 1)** შესაბამისად, „აბონენტის“ ხარჯებით. ამავედროულად ამ სახის ხარვეზ აბონენტისთვის წარმოადგენს დამატებით ხარჯს, რაც გაელუნას ვერ იქონიებს და ვერ შეამცირებს ამ ხელშეკრულებით „აბონენტს“ მიერ არჩეული გადახდის პრინციპით დათვლილ საანგარიშსწორებო ხარჯებზე.

2.5 აბონენტის პირადი სურვილით, მოწყობილობის ან მისი კომპლექტაციის შემადგენელი ნაწილების დამატებით მიწოდებას, „კომპანია“ მოახდენს ამავე ხელშეკრულების დანართი № 1 ში გაწერილი, **ძირითადი ტარიფების** შესაბამისად, „აბონენტის“ ხარჯებით. ამავედროულად ამ სახის ხარვეზი აბონენტისთვის წარმოადგენს დამატებით ხარჯს, რაც გაელუნას ვერ იქონიებს და ვერ შეამცირებს ამ ხელშეკრულებით „აბონენტს“ მიერ არჩეული, გადახდის პრინციპით დათვლილ საანგარიშსწორებო ხარჯებზე.

2.6 „მოწყობილობების“ მონტაჟის, მიწოდების, ან დემონტაჟის შემთხვევაში, აბონენტთან ფორმალად შესაბამისი სამუშაოს შესრულების ორდერი. მონტაჟის შემთხვევაში ორდერი ადასტურებს „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ „მოწყობილობების“ გამართულ მდგომარეობაში გადაცემის, მისი წარმატებით ინსტალაციის და „აბონენტისათვის“ სათანადო ინსტრუქციის ჩატარების ფაქტს. დემონტაჟის შემთხვევაში – „აბონენტის“ მიერ „კომპანიისათვის“ „მოწყობილობების“ სრულად უკან დაბრუნების ფაქტს. ორდერის შედგენისას „კომპანიის“ თანამშრომელი ამოწმებს „მოწყობილობების“ ტექნიკურ მდგომარეობას და თუ გამოვლინდება, რომ დემონტაჟის დროს „მოწყობილობები“ მთლიანად, ან ნაწილობრივ დაზიანებულია, დაკარგულია ან განადგურებულია, „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ აუწყინაზღაუროს „მოწყობილობების“ ღირებულება ამავე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული ტარიფებით. დემონტაჟის ორდერი დგება მხოლოდ იმ „აბონენტთან“, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტში აირჩია მოწყობილობათა ქირავნობის, ან განვადებით შეძენის რომელიმე ვარიანტი და მას დემონტაჟის მომენტისთვის სრულად არ აქვს დაფარული „მოწყობილობების“ გათვლილი ღირებულება - შესაბამისად არ წარმოადგენს „მოწყობილობების“ შესაკუთრებს.

2.7 „აბონენტი“ უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი საკუთარი მოწყობილობები, რომელიც ფუნქციონირებს სრულ სისტემურ შესაბამისობაში არის „კომპანიის“ შეთავაზებულ „მოწყობილობათა“ ზოგიერთ სახეობასთან, მხოლოდ ისე რომ მათი მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში, „აბონენტი“ ვალდებულია სისტემის გამართულობისთვის „კომპანიას“ შეუკვეთოს შესაბამისი მოწყობილობები და მისი ღირებულება გადაიხადოს კომპანიის მიერ ამავე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული ტარიფების შესაბამისად.

2.8 „კომპანია“ პასუხს აგებს მხოლოდ მის მიერ მიწოდებულ „მოწყობილობების“ ხარისხზე.

3. ანგარიშსწორება მხარეებს შორის

3.1 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდებისათვის „აბონენტი“ „კომპანიის“ სასარგებლოდ იხდის მომსახურების გადასახადს, რომლის ოდენობაც განისაზღვრება დანართი №1-ით და დამოკიდებულია „აბონენტის“ მიერ მომსახურების და „მოწყობილობათა“, მიწოდების არჩეულ სახეობებზე. ამ ხელშეკრულების გაფორმებისას „აბონენტს“ მიერ გააქტიურებულ იქნა:

მომსახურების პაკეტი: სუპერ sar

ბარათის ნომერი:

რესივერის ნომერი:

„მოწყობილობებით“ სარგებლობის სახეობა: რულად შესყიდვა ანვადებით შესყიდვა (12 თვე) ანვადებით შესყიდვა (24 თვე) ექსპირაცება

- 3.2 ფიზიკურ პირთათვის, მომსახურების გადასახადი დაფუძნებულია გადახდის საავანსო პრინციპზე, რაც გულისხმობს მომსახურების ღირებულების წინასწარ გადახდას „კომპანიაში“ კუთვნილ ანგარიშზე შეტანის გზით. ანგარიში არის „კომპანიის“ მონაცემთა ბაზაში „აბონენტისთვის“ მინიჭებული, გახსნილი პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც აისახება „აბონენტის“ მიერ გადახდილი თანხების მობარაბა და მისი სააბონენტო ისტორია.
- 3.2.1 „აბონენტი“, რომელზეც წარმოადგენს ფიზიკურ პირს და რომელსაც სრულად აქვს გადახდილი მოწყობილობათა ჯამური ღირებულება, ანუ უკვე წარმოადგენს „მოწყობილობების“ მესაკუთრეს, ეძლევა საშუალება – სააბონენტო მომსახურების ღირებულება გადაიხადოს მათთვის სასურველი დღითა რაოდენობის ექვივალენტური ფულადი თანხის, „კომპანიაში“ კუთვნილ ანგარიშზე შეტანის გზით (ბალანსი), რა პერიოდითაც (კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისად) განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მომსახურების მიწოდების ხანგძლივობა. ანგარიშზე თანხის (ბალანსის) ამოწურვის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება წყდება. მომსახურების მიწოდების გადასახადი განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისათვის“ მომსახურების მიწოდების ხანგძლივობა. ანგარიშზე თანხის (ბალანსის) ამოწურვის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება წყდება. გამომდინარე იქიდან, რომ აბონენტის მიერ გრაფიკით განაზღვრული, ანგარიშზე შემოტანილი თანხიდან პრიორიტეტულად ჩამოიჭრება მოწყობილობათა, გადახდის არჩეული პრინციპით გამოთვლილი ღირებულება – ანგარიშზე გათვალისწინებული თანხის არსაკმარისი რაოდენობით არსებობის შემთხვევაში სააბონენტო მომსახურების განახლება ვერ განხორციელდება მანამ, სანამ არ იქნება შესყიდული გადახდის არჩეული გრაფიკით გამოთვლილი რაოდენობა და მომსახურების შენარჩუნების გადასახადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გარდა „მოწყობილობათა“ წილობრივი ღირებულებისა, რომელიც გრაფიკით გათვალისწინებულ დროს ერთბაშად ჩამოიჭრება აბონენტის ბალანსიდან, მომსახურების გადასახადის ჩამოჭრა საავანსო თანხიდან ხორციელდება ყოველი კონკრეტული კალენდარული დღის მიხედვით „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურების პაკეტ(ებ)ის ღირებულების შესაბამისად.

3.2.3 „აბონენტი“, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების მომენტში აირჩია „მოწყობილობათა“ დაკრძავების ვარიანტი და რომელიც წარმოადგენს ფიზიკურ პირს, ვალდებულია ყოველ ჯერზე მომსახურების ღირებულება გადაიხადოს არანაკლებ ამავე ხელშეკრულების დანართი № 1 ში გაწეული, მოწყობილობათა ქირით გამოყენებისთვის განსაზღვრული რაოდენობისა, სადაც ყოველ ერთ გადასახადში ერთობლივად გაწერილია მოწყობილობათა 30 კალენდარული დღის ექვივალენტური, ქირით გამოყენებისთვის განსაზღვრული და სააბონენტო თანხა ერთად . გადახდა ხორციელდება ფულადი თანხის „კომპანიის“ კუთვნილი ანგარიშზე შეტანის გზით (ბალანსი), რა პერიოდითაც (კალენდარული დღეების რაოდენობის შესაბამისად) განისაზღვრება „კომპანიის“ მიერ „აბონენტისთვის“ მომსახურების მიწოდების ხანძაღვლობა. ანგარიშზე თანხის (ბალანსის) ამოწურვის შემთხვევაში მომსახურების მიწოდება წყდება. მომსახურების გადასახადის ჩამოჭრა საავანსო თანხიდან ხორციელდება ყოველი კონკრეტული კალენდარული დღის მიხედვით „აბონენტის“ მიერ არჩეული მომსახურების პაკეტ(ებ)ის ღირებულების შესაბამისად.

3.3 „აბონენტი“, რომელიც წარმოადგენს თურთილ პირს, მოწყობილობათა შენახვისთვის ვალდებულია – სრულად დაფაროს, მოწყობილობათა ღირებულება მინტაჟის დღიდან არაუგვიანეს 10(ათი) სამუშაო დღის ვადაში . ამავე ხელშეკრულების დანართი № 1 ში გაწეული ღირებულებებით, განვადებით შესაძლებლობის გარეშე (წარდგენილი ინვოისის შესაბამისად) . სააბონენტო გადასახადის გადახდა კი განხორციელდება გაწეული მომსახურების პროპორციულად, წარდგენილი ინვოისისა და ანგარიშგაქტურის შესაბამისად.

3.4 მომსახურების პაკეტების მრავალფეროვნების შემთხვევაში „აბონენტი“ უფლებამოსილია კომპანიის მიერ, მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად, შეცვალოს მომსახურების პაკეტი. დაამტკიცოს ან გააუქმოს მისთვის სასურველი დამატებითი პაკეტი, რისთვისაც ვალდებულია დარეგოს „კომპანიის“ ცხელ ხაზზე, ტელ.: (032) 2 90 10 11, (032) 2 18 68 88, დასახელოს ხელშეკრულების ნომერი, მისი სახელი, გვარი, პირადი ნომერი და სასურველი პაკეტის დასახელება. აბონენტის ზარი იწერება და ინახება არქივში 6 (ექვსი) თვის განმავლობაში. მომსახურების პაკეტის შეცვლა „კომპანიის“ მიერ ხორციელდება მომდევნო კალენდარული დღიდან „აბონენტის“ ანგარიშზე საკარბის დეპოზიტის არსებობისას.

3.5 „აბონენტებს“, რომელთაც „მოწყობილობები“ დროებით სარგებლობაში აქვთ გადაცემული – ბალანზე თანხის ამოწურვის შემთხვევაში და მის შევსებამდე, სააბონენტო წერტილზე ერიცხება მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი 0.10 ლარის (ათი თეთრი) ოდენობით, ყოველ 1 (ერთ) კალენდარულ დღეზე (თუ „აბონენტს“ გრავიკით გათვალისწინებული თარიღისთვის არ აქვს შესაბამისი რაოდენობითი თანხით შევსებული ბალანსი, მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბალანსის ამოწურვიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული თანხის განხორციელება ანგარიშზე თანხის შეტანას, ვალდებულია კიდევ სამი სამუშაო დღის ვადაში სრულად დაუბრუნოს „კომპანიას“ „მოწყობილობები“ გამართულ მდგომარეობაში და სრულად გადაიხადოს მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი.

3.6 მომსახურების დროებით შეჩერება (პაუზა) შესაძლებელია იმ აბონენტთათვის, რომელთაც მოწყობილობები სრულად აქვთ შესყიდული, მხოლოდ პაკეტ(ებ)ის პირველადი ჩართვიდან 30 კალენდარული დღის შემდეგ. მოწყობილობების პირად საკუთრებაში მქონე „აბონენტი“ უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურების დროებით შეჩერება, თუ მოთხოვნილი მონეტისთვის აბონენტის ანგარიშზე ირიცხება დადებითი ბალანსი. მომსახურების დროებითი შეჩერება შესაძლებელია, შეჩერების მოთხოვნილი თარიღიდან არაუმეტეს 50 კალენდარული დღისა. რის შემდგომ, თუ აბონენტის ბალანსზე ისევ არსებობს დეპოზიტური თანხა, მომსახურება ავტომატურად განახლებს დროებითი გათიშვის მომენტისთვის არსებული პაკეტის ღირებულების გათვალისწინებით. თუ აბონენტს დროებითი გათიშვის მაქსიმალური პერიოდის გამოყენების შემდეგ, ანგარიშზე არ აქვს ავტომატურად გააქტიურებისთვის საჭირო თანხის ბიუჯეტი – ხელშეკრულება ითვლება **„დროებით შეჩერებულად“**. ასეთი წყვეტის შემდეგ ხელშეკრულების ხელახალი გააქტიურებისთვის აბონენტი დამატებით გადაიხდის – ხელშეკრულების ხელახალი გააქტიურების ღირებულება 5 (ხუთი) ლარის ოდენობით.

3.7 მხარეები თანხმდებიან, რომ „მოწყობილობების“ განვადებით შექმნის პრივივიის არჩევის შემთხვევაში და ამავე მიზეზით ხელშეკრულების დანართი № 1 ში გაწეული გრავიკით გათვალისწინებული წილობრივი თანხები, ასევე წარმოადგენს „მოწყობილობათა“ ცვეთის გადასახადს . აბონენტის მხრიდან რაიმე მოტყვიით მოთხოვნა და „კომპანიის“ მხრიდან ასეთი თანხების უკან დაბრუნება დაუშვებელია.

3.8 მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანია“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი ნებისმიერი ტარიფი, მათ შორის და არა მხოლოდ, მომსახურების გადასახადის ოდენობა, მისი გადახდის წესი და პირობები, რის შესახებ ვალდებულია 1 (ერთი) თვით ადრე შეატყობინოს „აბონენტს“.

3.9 „აბონენტი“, მომსახურების საავანსო თანხის გადაიხდის „კომპანიაში“ კუთვნილი ანგარიშზე შეტანის გზით (ანგარიშზე შეტანა შესაძლებელია, გადახდის ყველა ელექტრონული საშუალებით (ფვი აპარატები, ინტერნეტბანკი და სხვა, ან კომერციული ბანკების ფილიალებში) აბონენტისთვის „კომპანიის“ მიერ მინიჭებული იდენტიფიკაციის კოდით (იდენტიფიკატორი) . ანგარიში არის „კომპანიის“ მონაცემთა ბაზაში „აბონენტისთვის“ მინიჭებული, გახსნილი პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი, რომელზეც აისახება „აბონენტის“ მიერ გადახდილი თანხების მოძრაობა და მისი სააბონენტო ისტორია. „ მოწყობილობების“ ინსტალაციის პირველად გადასახადს, ან „მოწყობილობათა“ შემდგომი მიწოდების დროს გადასახდელ თანხებს , „აბონენტი“ გადაიხდის კომპანიის წარმომადგენელთან , ჩეკთან ანგაზარებული დოკუმენტის მეშვეობით (ჩედი) .

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 „კომპანია“ ვალდებულია:

4.1.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში დაუმონტაჟოს „აბონენტს“ „მოწყობილობები“ და ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში უზრუნველყოს „აბონენტებისთვის“ ხარისხიანი მომსახურების მიწოდება.

4.1.2 „აბონენტის“ შეტყობინების საფუძველზე და მის მიერვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მიმდინარე გადასახადის ბალანსზე გარანტიის შემთხვევაში, შეძლებისდაგვარად უმოკლეს ვადებში (არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა) აღმოფხვრის მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ხარვეზი, გარდა იმისა, რაც ეპრობლემა „მოწყობილობების“ მკვებავი ორბიტალური სისტემების (თანაზღვარების) დაზიანებით ან/და „მოწყობილობების“ სპეციფიკურიდან გამომდინარე, ამინდის მკვეთრი, მაღალი ხარისხის გაუარესებით.

4.1.3 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მოემსახუროს „აბონენტს“ ცხელი ხაზის მეშვეობით. ნომერი – ტელ.: (032) 2 90 10 11 , ტელ.: (032) 2 18 68 88.

4.2 „კომპანია“ უფლებამოსილია:

4.2.1 პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისას დროებით შეაჩეროს ან შეუზღუდოს „აბონენტს“ მომსახურების მიწოდება.

4.2.2 სამაუწყებლო, ან უფლება მფლობელი სხვა კომპანიის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე, სატელევიზიო არხის ან მისი შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის ჩვენების უფლების დაკარგვის შემთხვევაში, შეწყვიტოს მისი მიწოდება ან ჩაანაცვლოს იგი სხვა გადაცემით. მხარეები თანხმდებიან, რომ „კომპანია“ მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილია იმ შემთხვევაშიც, თუ სატელევიზიო არხის შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის ჩვენება დაუშვებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს აკრძალვის ან/და საავტორო და მოძიუნვე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გამო.

4.3 „აბონენტი“ ვალდებულია:

4.3.1 აწარმოოს ანგარიშსწორება „კომპანიასთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და პირობებით.

4.3.2 შეატყობინოს „კომპანიას“ მომსახურების მიწოდებაში რაიმე შეფერხების შემთხვევაში და შეძლებისდაგვარად შეუწყოს ხელი „კომპანიის“ თანამშრომლებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებაში.

4.3.3 ანაზღაუროს ყველა ის ხარჯი, რომელიც საკუთარი ქმედებით მიადგა „კომპანიის“ კუთვნილი „მოწყობილობების“.

4.3.4 არ განახორციელოს „მოწყობილობების“ თვითნებური გადაადგილება, მონტაჟი ან დემონტაჟი.

4.3.5 არ განახორციელოს მომსახურების მიყიდვა ან რაიმე ფორმით გადაცემა ან მიწოდება მესამე პირებისათვის.

4.4 „აბონენტი“ უფლებამოსილია:

4.4.1 თავის სურვილის შესაბამისად გაასხვიოს (გააჩუქოს ან გაყიდოს) მის პირად საკუთრებაში არსებული „მოწყობილობები“.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 „კომპანია“ პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და მასზედ, რომ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში მოახდენს მომსახურებაში არსებული შეფერხების ან ნაკლოვანებების აღმოფხვრას და ქსელის ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას.

5.2 მხარეები თანხმდებიან, რომ „აბონენტს“ ეყიბრება სრული პასუხისმგებლობა მის დროებით სარგებლობაში არსებული „მოწყობილობების“ დაკარგვაზე, დაზიანებაზე ან/და განადგურებაზე. „მოწყობილობის“ ღირებულება ანაზღაურდება „კომპანიაში“ დადგენილი ტარიფების შესაბამისად მათ შორის და არა მხოლოდ იმ შემთხვევაშიც თუ „მოწყობილობების“ დაზიანება ან/და განადგურება გამოწვეულია ელ. ქსელში მავნის ცვალებადობით.

6. დავის გადაწყვეტა

6.1 მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშინაშემების საფუძველზე. „აბონენტს“ უფლება აქვს შესაბამისი საჩივრი მიმართოს „კომპანიას“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს. „კომპანია“ დავას განიხილავს ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ კანონით დადგენილი წესით 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 30 (ოცდაათი) დღის ვადაში, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში ან სასამართლოში.

6.2 „აბონენტს“ უფლება აქვს საერთო წესით პირდაპირ მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან სასამართლოს.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვალოდ, „მოწყობილობების“ დემონტაჟის ორდერის შედგენის თარიღამდე. ხოლო მომსახურების მიწოდება „აბონენტისთვის“ იწყება ბარათის აქტივაციის დღიდან და წყდება აბონენტის ანგარიშზე თანხის (ბალანსის) ამოწურვით.

7.2 „აბონენტის“ მიერ ანგარიშზე თანხის გადაუხდელობა განიხილება, როგორც მისი ცალმხრივი ნება მომსახურების მიწოდების შეწყვეტის შესახებ, რაც აბონენტს „მოწყობილობების“ დემონტაჟის ორდერის შედგენამდე არ ათავისუფლებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან. თუ აბონენტი, რომელსაც „მოწყობილობები“ „კომპანიის“ მხრიდან გადაცემული აქვს დროებით სარგებლობაში და ბალანსის ამოწურვიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში არ განახორციელებს ანგარიშზე თანხის შეტანას, ვალდებულია კიდევ სამი სამუშაო დღის ვადაში სრულად დაუბრუნოს „კომპანიას“ „მოწყობილობები“ გამართულ მდგომარეობაში და სრულად გადაიხადოს მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი. „მოწყობილობები“ გამართულ მდგომარეობაში დაუბრუნებლობის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია „კომპანიას“ გადაუხადოს კომპენსაცია, „მოწყობილობების“ ღირებულების ოდენობით, „კომპანიის“ მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად, აგრეთვე სრულად გადაიხადოს მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი.

7.3 „კომპანია“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ვალდებულია „აბონენტს“ შესაბამისი შეტყობინება გაუზავნოს შეწყვეტის თარიღის დადგენამდე 1 (ერთი) თვით ადრე. ასეთ შემთხვევაში „კომპანია“ ვალდებულია დაუბრუნოს „აბონენტს“ ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8. ზოგადი დებულებები

8.1 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირებული იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2 „კომპანია“ უფლებამოსილია ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სახის შეტყობინება „აბონენტს“ მისი არჩევით გაუზავნოს ამ ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ ერთ-ერთ რომელიმე მისამართზე: ტელეფონის ნომერზე, ელექტრონულ ფოსტაზე, რეგისტრაციის ადგილზე, ან მომსახურების მიწოდების ადგილზე. მათი შეცვლის შემთხვევაში „აბონენტი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს „კომპანიას“ აღნიშნულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია თანხმარი ორდერული ძალის მქონე 2 (ორი) ოთხ გვერდიან ეგზემპლარად დანართი №1ს ჩათვლით, რომელსაც ერთი გადაცემა „აბონენტს“, ხოლო ერთი ეგზემპლარი რჩება „კომპანიას“.

შპს „სუპერ ტვ“

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, კარტფაბრიკის მიმდებარედ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 400015201; ტელ.: (032)2901101; (032)2186888 ; ფაქსი: (032)2923777
სს „ტერა ბანკი“ KSBGGE22 ა/ა GE12KS000000004193717

„აბონენტი“

ხელშეკრულება N დანართი N1 ძირითადი ტარიფები

წინამდებარე დანართით განსაზღვრული ტარიფები მოქმედებს აბონენტთან გაფორმებული ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესაბამისად და მოცემულია დღგ-ს ჩათვლით.

საავანსო გადასახადი :

- ყოველ ახალ სააბონენტო წერტილზე მონტაჟისა და „მოწყობილობების“ ღირებულებასთან (არჩეული შესყიდვის ან დაქირავების სახეობის მიხედვით) ერთად „აბონენტი“ იხდის საავანსო თანხას, მინიმუმ იმ ოდენობით , რაც საჭიროა მის მიერ ამორჩეული პაკეტ(ებ)ის 30 კალენდარული დღით გააქტიურებისთვის.

- მომსახურების საბაზისო პაკეტს ეწოდება „**სუპერ SAT**“ - 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება - 0.2 ლარი (20 თეთრი).
 - „მოწყობილობების“ კირა - 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება - 0.5 ლარი (50 თეთრი).
- შენიშვნა:** დაქირავების შემთხვევაში აბონენტისთვის ხელშისაწვდომია შემდეგი „მოწყობილობები“: 1) რესივერის კომპლექტი , 2) თანამგზავრული ანტენის ძირითადი კომპლექტი, 3)ციფრული საეთერო ანტენა . ჩამოთვლილთაგან რომელიმე მოწყობილობის არ გამოყენება არ ამცირებს კირის გაწერლ ღირებულებას. ყველა სხვა სასურველ ტექნიკურ მატერიალს, აბონენტი შეიძენს გაწერილი ღირებულების შესაბამისად .
- მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი - 1 (ერთი) კალენდარული დღის ღირებულება - 0.10 ლარი (10 თეთრი).
- შენიშვნა:** მომსახურების მიწოდების შენარჩუნების გადასახადი ერიცხება მხოლოდ იმ აბონენტებს, რომელთაც „მოწყობილობები“ გადაცემული აქვთ დროებით სარგებლობაში და იმ შემთხვევაში, თუ „აბონენტი“ ამოწურული აქვს საავანსო გადასახადი და „კომპანიის“ მხრიდან გათიშული აქვს მომსახურების მიწოდება.
- დროებით შეჭერებული ხელშეკრულების ხელახალი გააქტიურების ღირებულება - 5.00 ლარი (ხუთი ლარი).
- შენიშვნა:** ხელშეკრულების ხელახალი გააქტიურების გადასახადი ერიცხება მხოლოდ იმ აბონენტებს, რომელთაც „მოწყობილობები“ გადაცემული აქვთ პირად მფლობელობაში და იმ შემთხვევაში, თუ „აბონენტი“ ამოწურული აქვს საავანსო გადასახადი და „კომპანიის“ მხრიდან გათიშული აქვს მომსახურების მიწოდება ზედიზედ 50 კალენდარული დღის მანძილზე , მაგრამ საჭიროებს ხელშეკრულების ხელახალ გააქტიურებას .

„მოწყობილობების“ შეძენის და მონტაჟის ღირებულება :

სახეობა					ფასი	ვალუტა	არჩევა	რაოდენობა	სახეობა					ფასი	ვალუტა	არჩევა	რაოდენობა
რესივერის კომპლექტი					100	ლარი			დამატებითი მასალები								
ჩამლა	1 (ერთი) ერთეული რესივერი GL-S850	50	ლარი					ჩამლა	1 მეტრი კოაქსიალური კაბელი RG6	0.5	ლარი						
	1 (ერთი) ერთეული რესივერის კვების ბლოკი 12V1.5A	10	ლარი						1 (ერთი) ერთეული კაბელის F56 ძირითადი კონექტორი	0.5	ლარი						
	1 (ერთი) ერთეული GL-S850 რესივერის მართვის პულტი	20	ლარი						1 (ერთი) ერთეული კაბელის M (მაშალი) კონექტორი	1	ლარი						
	1 (ერთი) ერთეული რესივერის A/V (აუდიო/ვიდეო) კაბელი	4	ლარი						1 (ერთი) ერთეული კაბელის F (დედალი) კონექტორი	1	ლარი						
	1 (ერთი) ერთეული რესივერის HDMI კაბელი	5	ლარი						1 (ერთი) ერთეული კაბელის F81 (ზოჩკა) კონექტორი	1	ლარი						
	1 (ერთი) ერთეული რესივერის სააბონენტო (ელექტრონული) ბარათი	10	ლარი						1 (ერთი) ერთეული სატელევიზიო სიგნალის შემრევი (დისკვი) 4X1	5	ლარი						
	2 (ორი) ერთეული მართვის პულტის ელემენტი	1	ლარი						1 (ერთი) ერთეული სიგნალის გამყოფი 1X2	10	ლარი						
თანამგზავრული ანტენის ძირითადი კომპლექტი					60	ლარი			1 (ერთი) ერთეული სიგნალის გამყოფი 1X3	10	ლარი						
ჩამლა	1 (ერთი) ერთეული ლითონის თევზი მიმართულია 100/120MM	40	ლარი					1 (ერთი) ერთეული სიგნალის გამყოფი 1X4	10	ლარი							
	1 (ერთი) ერთეული სიგნალის მიმღები თავაკი (1 გამოშვებული)	10	ლარი					1 (ერთი) ერთეული აუდიო ვიდეო სიგნალის გადაყვანი (SCART)	10	ლარი							
	1 (ერთი) ერთეული ანტენის ლითონის საფარი	10	ლარი					1 (ერთი) ერთეული სიგნალის მიმღები თავაკი (2 გამოშვებული)	20	ლარი							
ციფრული საეთერო ანტენა					20	ლარი			2 (ერთი) ერთეული სიგნალის მიმღები თავაკი (4 გამოშვებული)	40	ლარი						
"მოწყობილობების" მონტაჟის ღირებულება					20	ლარი			1 (ერთი) ერთეული სატელევიზიო ანტენის საფარი (ანკერი)	1	ლარი						

- შენიშვნა - მოწყობილობების მონტაჟის ღირებულება შეიცავს საჭიროდ აუცილებელი RG6 ტიპის კაბელის და ყველა საჭირო კონექტორის ღირებულებას.

"მოწყობილობების" ღირებულება - განვადების გარეშე გადასახდელი თანხა	ლარი
--	-------------

"მოწყობილობების" ღირებულების გადახდა:					
		"აბონენტის" გადასახდელი თანხა სრულად გადახდის შემთხვევაში	"აბონენტის" ყოველთვიურად გადასახდელი თანხა	"აბონენტის" ყოველთვიური გადახდის უცვლელი რიგზე	"აბონენტის" ხელმოწერა
1	ერთჯერადი გადახდა სრულად				
2	განვადებით გადახდა 12 კალენდარული თვის მანძილზე, წლიური 12 % ფასსწამატით.				
3	განვადებით გადახდა 24 კალენდარული თვის მანძილზე, წლიური 18 % ფასსწამატით.				

დანართით განსაზღვრული ტარიფები მოცემულია მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის და მასში ცვლილებების შეტანა ხდება ხელშეკრულების 3.8 მუხლის შესაბამისად.

სატელევიზიო არხები

მომსახურების საბაზისო პაკეტი " სუპერ SAT "

1. Культура	21. D.Science	41. Мультимания
2. РЕН ТВ	22. DTX	42. Amedia 1
3. МУЗ ТВ	23. Доктор	43. Русский Иллюзион
4. КХЛ	24. Страна	44. Иллюзион+
5. Extreme Sport	25. Живая планета	45. Еврокино
6. Eurosport	26. Парк развлечений	46. Zee Russia
7. Eurosport2	27. Сарафан	47. TV 1000 Русское кино
8. Мульт	28. Ностальгия	48. TV 1000
9. Амедиа 2	29. Охота и рыбалка	49. TV 1000 Action
10. SET	30. Наука 2.0	50. Viasat Explorer
11. Sony Sci Fi	31. Техно 24	51. Viasat History
12. Настоящее страшное телевидение	32. ТМБ RU	52. Viasat Sport
13. Discovery Channel	33. Bridge TV	53. Viasat Nature
14. ID Xtra	34. Шансон ТВ	54. Авто24
15. История	35. ТВ-3	55. ТНТ Comedy TV
16. Мама	36. Пятница	56. Amedia Premium HD
17. Food Network	37. Бокс ТВ	57. Зоопарк
18. TLC	38. Детский	
19. Animal Planet	39. Da Vinci Learning	
20. Моя планета	40. Ru TV	

არხების ჩამონათვალი მოცემულია მხოლოდ ამ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის და მასში ცვლილებების შეტანა ხდება ხელშეკრულების შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია არხების შესახებ განთავსებულია „კომპანიის“ ოფიციალურ ვებ გვერდზე www.supertv.ge

შპს „სუპერ ტვ“

ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, კარტფაბრიკის მიმდებარედ.
საიდენტიფიკაციო კოდი: 400015201 ტელ.: 2901011 , 2186888 , ფაქსი: 2923777

„აბონენტი“

.....

.....